



World Experience for Georgia

ენერგეტიკა სიბნელეში

ენერგეტიკული უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ნაწილი და დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა. უსაფრთხო ენერგოუზრუნველყოფის გარეშე ქვეყანა ადვილად მოექცევა სხვა ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის ქვეშ, ვერ შეინარჩუნებს თავისუფლებას და ტერიტორიულ მთლიანობას, ვერ განავითარებს ეკონომიკას და დაიცავს მოქალაქეთა ინტერესებსა თუ კეთილდღეობას.

საქართველოს, რომელიც 72%-ით გარე ენერჯის წყაროებზეა დამოკიდებული, დამოუკიდებლობის პერიოდში არ ჰქონია სტრატეგიული დოკუმენტი ან გეგმა იმისა, თუ როგორ უნდა იქნას მიღწეული ენერგეტიკის მთავარი ამოცანა - ენერგეტიკული უსაფრთხოება. ენერგეტიკული პოლიტიკის ოფიციალური დოკუმენტი ძირითადად სურვილების დეკლარაციაა, ხოლო ცალკეული მკვლევარების, დონორული პროექტების და ენერგეტიკული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი და ფრაგმენტული, გეგმები და „სტრატეგიები“ ერთიან, სანდო სურათს ვერ ქმნის.

ქართული ენერგეტიკულ-პოლიტიკური აზროვნების ორი მთავარი ბურჯი - „გაზის მოწოდების დივერსიფიკაცია“ და „ჰიდროსადგურების მაქსიმალური განვითარება“ სერიოზულ კრიტიკასაც ვერ იმსახურებს; „დივერსიფიკაცია“ გამოიხატა გაზის მხოლოდ ერთი მონოპოლისტი მომწოდებლიდან (რუსეთი) მეორეზე (აზერბაიჯანი) გადართვაში რაც სრულიად არადადამაკმაყოფილებელია; ხოლო ჰიდროსადგურების განვითარების პროგრამა გადაიზარდა მიწის, წყლის და საბიუჯეტო გარანტიების უკონტროლო გადაცემაში, სათანადო შედეგის გარეშე. ჰიდროსადგურების გამოცხადებული პროექტების უმეტესობა რომც განხორციელდეს, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას მაინც ვერ უზრუნველყოფს; უფრო მეტიც, უხარისხო მშენებლობის, ჭარბი სახელმწიფო ხარჯების, გარემოსთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირების გამო, ეს პროგრამა თავად იქცა ქვეყნის მდგრადი განვითარების საფრთხედ და გამოწვევად.

მაინც რატომ ვერ მოხერხდა ამდენი წლის განმავლობაში გააზრებული ენერგეტიკული პოლიტიკის, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება? მიზეზად შეიძლება რამდენიმე გარემოება დასახელდეს. მათ შორის:

- ჭირს ენერგეტიკის მართვაში შესაბამისი კვალიფიკაციის და მოტივაციის მქონე პროფესიული კადრების მოზიდვა და შენარჩუნება; ცოდნის ნაკლებობა და პერსონალის მუდმივი ცვლილებები არ იძლევა სათანადო სამუშაო პროცესების გამართვის შესაძლებლობას;

- მიზეზი შეიძლება იყოს ენერგეტიკის მესვეურთა ნაკლები დაინტერესება ხარისხიანი სტრატეგიული დოკუმენტების შექმნაში, ვინაიდან ამან შეიძლება შეზღუდოს თავისუფლება; მოითხოვოს მეტი მოქმედება, თანმიმდევრულობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე.
- ყველაზე ძირეული მიზეზი კი, სავარაუდოდ, ის არის, რომ *საქართველოში არ მიმდინარეობს ენერგეტიკული (უსაფრთხოების) კვლევები*, რაც საფუძველს შეუქმნიდა ამ დარგის მიზნებზე და ამოცანებზე საზოგადოებრივ დიალოგს და საზოგადოებრივ მოთხოვნას.

კვლევების ნაკლებობის გამო¹, არ ვიცით, როგორ შევაფასოთ და შევადაროთ საფრთხეები და შესაძლებლობები რომლებსაც გვიქმნის: მზარდი ენერგომოხმარება, იმპორტდამოკიდებულება და მზარდი ფასები; აფხაზეთის უკონტროლო ენერგომოხმარება; შეშის მოხმარებით ტყეების განადგურება; აზერბაიჯანის გაზზე გადამეტებული დამოკიდებულება; „გაზპრომის“ და „ინტერ-რაოს“ შესაძლო გავლენები; კლიმატის გამო შეცვლილი ჰიდროლოგიური რეჟიმები, საერთაშორისო და რეგიონული ენერგეტიკული და პოლიტიკური ტენდენციები, ახალი ტექნოლოგიები და სხვა მრავალი.

შესაბამისად, არ ვიცით, უპირველესად საით მივმართოთ ქვეყნის შეზღუდული რესურსები; რა პროექტები და რა ტექნოლოგიები განვაფასოთ და რა თანმიმდევრობით, როგორ ველაპარაკოთ მოსახლეობას, რომელიც ახალი ჰესების მშენებლობას აპროტესტებს, რა მიმართულებებზე იმუშაონ ჩვენმა პოლიტიკოსებმა და დიპლომატებმა და როგორი საერთაშორისო ენერგეტიკული ხემკრულებები დადონ? და ა.შ.. არსებული გარემოს შესწავლის და ანალიზის გარეშე ქვეყანა დაუცველია საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური გამოწვევების წინაშე და თავის მწირ რესურსებსაც ეფექტურად ვერ იყენებს. არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ დავკარგავთ შესაძლებლობებს, გავლენების ქვეშ მოვექცევით და საკუთარს ნაცვლად სხვისი ინტერესების გატარება მოგვიწევს, მომავალი თაობების კეთილდღეობის და თავისუფლების ხარჯზე. თვისუფლად შეიძლება ითქვას, რომ **ენერგეტიკული უსაფრთხოების კვლევების არარსებობა თავად არის ყველაზე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული საფრთხე.**

ამიტომ, აუცილებელია სწრაფად დაიწყოს ენერგეტიკული უსაფრთხოების სისტემური კვლევები, რაც, პირველ ეტაპზე, შეაფასებს საქართველოს ენერგეტიკის წინაშე მდგარ მთავარ საფრთხეებს და შესაძლებლობებს, და შეიმუშავებს ენერგეტიკული უსაფრთხოების ჩვენს რეალობებზე მორგებულ განმარტებას, რაც შეუქმნის საფუძველს შემდგომში რეალური ენერგეტიკული პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავებას.

¹ WEG-ის მიერ 2017-ში საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების შეფასება საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს ე.წ. MOSES მეთოდოლოგიით, მხოლოდ ერთერთი ეპიზოდური ნაბიჯია ამ მიმართულებით.

ჩვენი შეფასებით, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოყოფილი სახსრების თუნდაც 1%-ის დახარჯვა აუცილებელ კვლევებზე, ამავე ინფრასტრუქტურის ეფექტურობას სულ ცოტა 10-20%-ით გაზრდის. შესაბამისად, ენერგეტიკული კვლევების დაფინანსება ყველაზე ხელსაყრელი ინვესტირებაა, თუკი ქვეყნის და მოქალაქეთა კეთილდღეობას და არა ცალკეულ პირთა კომფორტს და სარგებელს ვეძებთ.

იმედი გვაქვს, რომ ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მთლიანად მთავრობა გაიზიარებს ამ ხედვას და სათანადო ყურადღებას დაუთმობს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით უზრუნველყოფას. ამისთვის გამოიყოს მოკლე და გრძელვადიანი გრანტები და პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ამ დარგში კვლევებს, საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებს, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებს; დაამყარებს კავშირს ინდუსტრიასა და აკადემიურ პროცესს შორის.

მურმან მარგველაშვილი,
ენერგეტიკული კვლევების დირექტორი,
ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი